საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი ოქტომბერი 2023 / გამოცემა #70

დემოკრატია საფრთხეშია: ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი პირობების გადააზრება

ანასტასია მგალობლიშვილი[1]

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შოკმა კიდევ ერთხელ გააღო ევროკავშირის კარი ახალი წევრებისათვის და საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას მისცა ისტორიული შესაძლებლობა, გახდნენ ევროპული ოჯახის განუყოფელი ნაწილი. ევროკავშირმა უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი 2022 წლის ზაფხულში მიანიჭა, საქართველოს კი „ევროპული პერსპექტივა“ 12 შესასრულებელი რეკომენდაციით განუსაზღვრა, რათა 2023 წლის ბოლოსთვის ხელახლა მოხდეს კანდიდატის სტატუსის საკითხის განხილვა. სამწუხაროდ, ამ რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით, საქართველოში პროგრესი არ შეინიშნება. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (2023 წლის სექტემბერი) უკანასკნელი ანგარიშის მიხედვით, ევროკავშირის თორმეტი რეკომენდაციიდან მმართველმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ თითქმის სრულად მხოლოდ სამი შეასრულა. დანარჩენი რეკომენდაციები მწვავე პოლიტიკური დებატების საგნად იქცა, ხოლო „დეპოლარიზაციისა" და „დეოლიგარქიზაციის" რეკომენდაციები მთავრობამ პოლიტიკური მანიპულირების ინსტრუმენტებად და არა ნამდვილი რეფორმების გატარების საშუალებად გამოიყენა. მაგალითად, პარტია „ქართული

[1] ანასტასია მგალობლიშვილი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის გლობალური და ტრანსრეგიონული კვლევების ბერლინის სამაგისტრო სკოლის (BGTS) დოქტორანტია. მისი სადოქტორო პროექტი საქართველოს მაგალითზე იკვლევს, თუ როგორ იყენებენ არალიბერალური რეჟიმები ევროკავშირის მიერ დემოკრატიის ხელშეწყობას, რათა ხელი შეუწყონ რეჟიმის გადარჩენას.

ოცნება“ შეეცადა, მიეღო კანონი დეოლიგარქიზაციის შესახებ, რომელიც, ვენეციის კომისიის აზრით, შესაძლოა „თვითნებურად“ და „პოლიტიკური თვალსაზრისით ბოროტად იქნეს გამოყენებული“ (ვენეციის კომისია, 2023). ანალოგიურად, „ქართული ოცნება“ ზოგიერთ თავის არალიბერალურ პოლიტიკას - მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ კრემლის ხელწერის უცხოური აგენტების შესახებ კანონის მიღებას [და მასობრივი პროტესტის შემდეგ გაუქმებას] - იმით ამართლებს, რომ ეს ქართული საზოგადოების „დეპოლარიზაციას“ შეუწყობს ხელს (ნეტგაზეთი, 2023).

რეკომენდაციების გაცემიდან ერთი წლის თავზე საქართველოს მთავრობამ ისინი აშკარად საკუთარი არალიბერალური პოლიტიკისთვის და არა საქართველოს ევროპული მომავლისთვის გამოიყენა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის არალიბერალური[2] ბუნების გათვალისწინებით, ევროკავშირის რეკომენდაციები ხელახლა შესაფასებელი და გადასახედია. საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის პირობების გადახედვა ძალზე მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროკავშირი მიიღებს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პოლიტიკურ გადაწყვეტილებას (Jozwiak, 2023), ვინაიდან ევროკავშირის პოტენციური კანდიდატობისთვის, სავარაუდოდ, საქართველოსთვის უფრო მკაცრი პირობები დაწესდება. საქართველოზე ევროკავშირის ბერკეტების სრულად გამოუყენებლობა ქვეყანას უქმნის საფრთხეს, რომ ის ან დაკარგავს თავის ისტორიულ შესაძლებლობას - გახდეს ევროკავშირის კანდიდატი სახელმწიფო, ან გახდეს კანდიდატი სახელმწიფო არალიბერალური მთავრობით, რომელზეც ევროკავშირს ექნება შეზღუდული გავლენა (მაგ. თურქეთი და სერბეთი). ორივე ვარიანტი სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს დემოკრატიას და უსაფრთხოებას და, საქართველოზე კრემლის გავლენის გათვალისწინებით, ძალთა ბალანსს სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის სასარგებლოდ გადახრის. საქართველოში არალიბერალური მმართველობის გაგრძელება ასევე ძირს უთხრის ევროკავშირის ტრანსფორმაციულ ძალას, საქართველოს დემოკრატიზაციაში წლების განმავლობაში განხორციელებულ ინვესტიციებს.

[2] წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში საქართველოს დღევანდელი მთავრობის დასახასიათებლად გამოყენებულია არალიბერალური რეჟიმის ანდრეას საჯოსეული განმარტება. საჯოს განმარტებით, არალიბერალურ რეჟიმს 1) არა აქვს ლიბერალური კონსტიტუციური ინსტრუმენტები, რომლებიც ზღუდავს ძალაუფლებას, რომელიც თვითნებური ერთპიროვნული მმართველობის საშუალებას იძლევა, და 2) არალიბერალური რეჟიმი მართავს არსებითი არალიბერალური ღირებულებების საფუძველზე, როგორიცაა საზოგადოებისთვის ერთიანი მსოფლმხედველობის თავს მოხვევა.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიმოიხილავს ევროკავშირის პირობებს და ყურადღებას ამახვილებს იმ მექანიზმებზეა, რომელთა მეშვეობითაც ევროკავშირს შეუძლია ცვლილებების მოხდენა. არსებობს როგორც „ზემოდან ქვემოთ“ სტრატეგია, რომელიც მიმართულია მთავრობებზე და ასევე „ქვემოდან ზემოთ“ სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია სამოქალაქო საზოგადოებაზე, ოპოზიციასა და ფართო საზოგადოებაზე. ასევე გაანალიზებულია, ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შეუსაბამობა აღნიშნულ სტრატეგიებთან. ერთი მხრივ, ეს რეკომენდაციები იმდენად ძირს უთხრის მთავრობის ძალაუფლებას, რომ წარმოუდგენელია მათი რეალური შესრულება. მეორე მხრივ, ბუნდოვანება და ამორფულობა საჯარო და სამოქალაქო საზოგადოებას ხელს უშლის ამ ცვლილებების სათავეში მოქცევას. წინამდებარე გამოკვლევა მიზნად ისახავს შეთავაზებას, როგორ შეცვალოს ევროკავშირმა რეკომენდაციებში აქცენტები და გაძლიეროს საქართველოს საზოგადოება 2024 წლის გადამწყვეტ საპარლამენტო არჩევნებამდე.

არალიბერალური მთავრობების პირობებში - სტრატეგია „ზემოდან-ქვემოთ“ თუ „ქვემოდან-ზემოთ?“

სახელმწიფოებისთვის პირობების დაწესება ფართოდ განიხილება ევროკავშირის ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტად ცვლილებებისა და დემოკრატიის ხელშეწყობისთვის. დიდი ხნის მანძილზე ევროკავშირი არც თუ უშედეგოდ არწმუნებდა მრავალ წევრ და პარტნიორ სახელმწიფოს, დაეცვათ მისი წესები და ნორმები ისეთი მიმზიდველი პირობების შეთავაზებით, როგორიცაა ევროკავშირში გაწევრიანება ან ფინანსური სტიმულირება. თუმცა ამ მიდგომის წარმატება დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფოს მიზნებსა და ხელმძღვანელობაზე. როდესაც ევროკავშირის მოთხოვნები ეწინააღმდეგება სახელმწიფოს არსებულ ძალაუფლების სტრუქტურას, ევროკავშირი უფრო წარმატებულად ახერხებს აქცენტის გადატანას ფართო საზოგადოებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერაზე. ეს თავი მიმოიხილავს ორ განსხვავებულ მიდგომას - „ზემოდან ქვემოთ“ და „ქვემოდან ზემოთ“- რომელსაც ევროკავშირი იყენებს პირობების წაყენებისას და განმარტავს რომელია უკეთესი შედეგის მისაღწევად.

„ზემოდან ქვემოთ“

ევროკავშირი ცვლილებებისთვის უფრო ხშირად იყენებს სტრატეგიას “ზემოდან ქვემოთ”- რომელიც მიემართება მის პარტნიორი ან წევრი ქვეყნების მთავრობებს. ევროკავშირის პირობების შესრულების სანაცვლოდ მნიშვნელოვანი და საიმედო ჯილდოს შეთავაზებით ევროკავშირი ხშირად ახერხებს, რომ მისმა წევრმა ან პარტნიორმა ქვეყნებმა დაიცვან ევროკავშირის წესები. თუმცა კვლევებმა და გამოცდილებამ აჩვენა, რომ „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომა ყველაზე ეფექტურია, როდესაც 1) ევროკავშირის რეკომენდაციები შეესაბამება სამიზნე მთავრობის დღის წესრიგს, ან 2) რეკომენდაციები არ უპირისპირდება მთავრობის ძალაუფლებას (Schimmelfennig, Engert, Knobel, 2003).

მაგალითად, ევროკავშირის მიერ წაყენებული პირობები ძალზე ეფექტური აღმოჩნდა ჩეხეთის რესპუბლიკისა და პოლონეთის ევროკავშირის წესებთან მისადაგებისთვის, როდესაც ისინი ასპირანტი სახელმწიფოები იყვნენ, რადგან მათი მთავრობის ლიბერალური დღის წესრიგი ემთხვეოდა ევროკავშირის მოთხოვნებს (Vachudova, 2005). მეორე მხრივს, ევროკავშირმა ვერ მოახერხა ამ სტრატეგიის გამოყენება სლოვაკეთის მეჩიარის არალიბერალურ მთავრობასთან. ანალოგიურად, თურქეთში, ქვეყნის ევროპეიზაციის საწყის ეტაპზე, ევროკავშირმა მის მიერ წაყენებული პირობების წყალობით მოახერხა სიკვდილით დასჯის გაუქმება და უმცირესობებისთვის გარკვეული უფლებების მინიჭება, რადგან ეს ზომები გარდაუვალ საფრთხეს არ უქმნიდა მთავრობის ძალაუფლებას. თუმცა ევროკავშირის პირობებმა ვერ შეაჩერა ერდოღანის „აღმასრულებელი ძალაუფლების გაფართოება“ (Bermeo, 2016). საქართველოში „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომამ შედეგი გამოიღო იმ თვალსაზრისით, რომ აიძულა „ქართული ოცნების“ მთავრობა ოფიციალურად შეესრულებინა ევროკავშირის წესების უმეტესობა ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში (მაგ. ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი), რადგან ამ მოთხოვნების უდიდესი ნაწილი პირდაპირ არ უპირისპირდებოდა მთავრობის მიერ ძალაუფლების შენარჩუნებისკენ სწრაფვას. ფაქტობრივად, ამან ხელი შეუწყო მთავრობის გაძლიერებას, რადგან ამ ზომებმა მთავრობას მიანიჭა პროევროპულობის ლეგიტიმაცია საქართველოს საზოგადოებაში, რომლის უმრავლესობა ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა. თუმცა როგორც კი ევროკავშირის მოთხოვნებმა საფრთხე შეუქმნა მთავრობის ძალაუფლებას, „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომა არაეფექტური გახდა და საქართველოს მთავრობამ მისი გამოყენება საკუთარი არალიბერალური მიზნებისათვის დაიწყო.

შესაბამისად, ევროკავშირის მხრიდან პირობების „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომის საფუძველზე დაწესება ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა ლიბერალურ მთავრობებთან, რომლებიც იზიარებენ იმავე დღის წესრიგს, რაც ევროკავშირი, ხოლო არალიბერალურ მთავრობებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის მოთხოვნები არ უპირისპირდება მათ ძალაუფლებას. ისეთ სიტუაციებში, როდესაც ევროკავშირის „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომა საფრთხეს უქმნის არალიბერალური მთავრობების ძალაუფლებას, ჩვენ ხშირად ვხედავთ პირობების ფორმალურ შესრულებას - ანუ შესრულებას აღსრულების გარეშე. ასევე შეიმჩნევა ევროპეიზაციის „პათოლოგიური“ ეფექტები (ბიორზელი და ფამუქი 2012) - ევროკავშირის წესების და რეკომენდაციების გამოიყენება არალიბერალური პოლიტიკის ლეგიტიმაციისა და გამართლებისათვის. საქართველოში მთავრობის წინაშე მდგარმა დილემამ - არც ძალაუფლება გაუშვას ხელიდან და თან პრო-ევროპული გამოჩნდეს - მიიყვანა მთავრობა იქამდე, რომ ის ევროკავშირის რეკომენდაციებს მხოლოდ ფორმალურად ასრულებს ან იყენებს მათ საკუთარი არალიბერალური პოლიტიკის ლეგიტიმაციისთვის.

„ქვემოდან ზემოთ“

როდესაც „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომა არ არის ეფექტური ან არასასურველი შედეგები მოაქვს ევროკავშირს შეუძლია მიმართოს „ქვემოდან ზემოთ“ სტრატეგიას, რომელიც ფოკუსირებულია სამიზნე ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების, ოპოზიციური ჯგუფებისა და ფართო საზოგადოების მობილიზებასა და გაძლიერებაზე. ამით მას შეუძლია არაპირდაპირ მოახდინოს გავლენა სამიზნე სახელმწიფოს მთავრობაზე. ეს სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა იმ შემთხვევებში, როდესაც მთავრობა არალიბერალურია, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება არის აქტიური და საზოგადოების უმეტესი ნაწილი პროდასავლურია. ევროკავშირის წევრობისთვის მკაფიო სამოქმედო გეგმის უზრუნველყოფით და ამ ჯგუფების რესურსებითა და ლეგიტიმურობის გაძლიერებით, ევროკავშირს შეუძლია ისინი მოაქციოს ცვლილებების სათავეში.

„ქვემოდან ზემოთ“ წარმატებული სტრატეგიის თვალსაჩინო მაგალითი იყო სლოვაკეთის ევროკავშირში გაწევრების პროცესი. მას შემდეგ, რაც მეჩიარის მთავრობის არალიბერალური პოლიტიკის გამო სლოვაკეთი დროებით გამოირიცხა გაფართოების პროცესიდან, ევროკავშირმა ყურადღება გადაიტანა სლოვაკეთის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე და მათ მომზადებაზე 1998 წლის გადამწყვეტი არჩევნებისთვის. სლოვაკეთის გაწევრიანების საკითხზე ევროკავშირის მაშინდელი მომხსენებლის თქმით, ევროკავშირის გზავნილი სლოვაკეთის საზოგადოებისთვის

ნათელი იყო: „შეცვალეთ ეს მთავრობა ან დაივიწყეთ ევროპა“.[3] გარდა ცვლილების აუცილებლობის შესახებ საზოგადოებისთვის მკაფიოდ გაცხადებისა, ევროკავშირმა ასევე მხარი დაუჭირა ქვეყანაში კამპანიის "OK 98" შექმნას. კამპანიის ფარგლებში 58 არასამთავრობო ორგანიზაცია თანამშრომლობდა 63 პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა სლოვაკეთის საზოგადოების წახალისებას არჩევნებში ხმის მისაცემად. კამპანიის "OK 98" ფარგლებში ეწყობოდა მიტინგები, კონცერტები, მსვლელობები, რომლებიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას 1998 წლის არჩევნების მნიშვნელობის შესახებ და მასში მონაწილეობის მიღებას. ხმის მისაცემად ადამიანების მობილიზების გარდა, კამპანიის „OK 98“ ფარგლებში ხდებოდა მოქალაქეების მომზადება არჩევნების მონიტორინგისთვის, რადგან ბევრი შიშობდა, რომ არჩევნებზე დარღვევები და გაყალბება იქნებოდა. კამპანიის სპიკერის თქმით, არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომელი პარტიის სახელით დააკვირდებოდნენ მოქალაქეები არჩევნებს, მთავარია, ისინი გამოსულიყვნენ და დაკვირვებოდნენ.[4] ამ კოორდინირებულმა ძალისხმევამ ევროკავშირში ინტეგრაციისადმი საზოგადოების უდიდეს მხარდაჭერასთან ერთად, შედეგად გამოიღო არალიბერალური მმართველობის შეცვლა ახალი კოალიციური მთავრობით. ამის შემდეგ ევროკავშირმა სლოვაკეთთან გაწევრების შესახებ მოლაპარაკება დაიწყო.

შესაბამისად, „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომა ეფექტური სტრატეგიაა, როდესაც ფართო საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიცია ევროკავშირთან ინტეგრაციას ემხრობიან, მაგრამ საქმე აქვთ არალიბერალურ მთავრობასთან. თუმცა იმისათვის, რომ ეს მიდგომა შედეგიანი აღმოჩნდეს, ევროკავშირმა უფრო მეტი რესურსი უნდა მიმართოს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისკენ და საზოგადოებას გაუგზავნოს უფრო მკაფიო გზავნილები საქართველოს ევროპული მომავლის საჭიროებებზე.

როგორც „დეოლიგარქიზაციასთან“ და „დეპოლარიზაციასთან“ დაკავშირებული რეკომენდაციების მაგალითზე დავინახავთ, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაცემული 12 რეკომენდაცია არ აღმოჩნდა ეფექტური არც ამ ამოცანების ხელისუფლებისთვის შესასრულებლად და არც არალიბერალურ მთავრობასთან

[3] იან ვირსმა (ევროპარლამენტის ყოფილი წევრი და სლოვაკეთის საკითხზე მომხსენებელი), ავტორთან დისკუსია, ლეიდენი, ნიდერლანდები, 2023 წლის მარტი.

[4] სარლოტა პუფლეროვა (კამპანია “OK'98“-ის სპიკერი), ავტორთან დისკუსია, Zoom, 2023 წლის მაისი.

საბრძოლველად სამოქალაქო საზოგადოებისა და ფართო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით.

საქართველო: ევროკავშირის პირობები ძნელად აღსასრულებელია მთავრობისთვის და ბუნდოვანია საზოგადოებისთვის

საქართველოში ევროკავშირის რეკომენდაციები იმდენად დიდი საფრთხის მომტანია არალიბერალური მთავრობისთვის, რომ ბუნებრივია, შედეგს ვერ აღწევს. შესაბამისად, მთავრობა ან ზედაპირულად ასრულებს რეკომენდაციებს, მათი რეალურად აღსრულების გარეშე, ან ევროკავშირის ეგიდით მანიპულირებას ახდენს საკუთარი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ამასთანავე, რეკომენდაციები ბუნდოვანია და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. რაც ხელს არ უწყობს საქართველოს აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანებას და გაძლიერებას.

განსახილველია ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაცემული რეკომენდაციების ნაკლოვანებები; განსაკუთრებით „დეპოლარიზაციისა“ და „დეოლიგარქიზაციის“ რეკომენდაციები. ეს ორი პუნქტი, რომლებმაც, სავარაუდოდ, ყველაზე მეტი კამათი გამოიწვია ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში, ხელისუფლებამ გამოიყენა არალიბერალური პრაქტიკის ლეგიტიმაციისთვის და არა ქვეყანაში საჭირო ცვლილებების განხორციელებისთვის.

პოლარიზაციის გამომწვევი რიტორიკა და ოლიგარქიული მმართველობა, როგორც მთავრობის ძალაუფლების ძირითადი წყარო

საქართველოს საზოგადოება არც იმდენად პოლარიზებულია როგორც ამას ხშირად აცხადებენ, თუმცა მისი პოლიტიკური სისტემა გაყოფასა და დაპირისპირებას უწყობს ხელს. ხელისუფლებაში ყოფნის თერთმეტი წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ ძირითადი სტრატეგია პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია და რადიკალიზაციაა. წინა ხელისუფლების მიმართ საზოგადოების მიუღებლობის აქცენტირებით „ქართულმა ოცნებამ“ შეინარჩუნა თავის მხარდამჭერთა ბაზა. თავის მხრივ, ოპოზიციამაც ვერ მოახერხა გაერთიანება და საზოგადოებისთვის ქმედითი და სანდო ალტერნატივის შეთავაზება, რამაც მოსახლეობაში წარმოშვა პოლიტიკური აპათია

და უნდობლობა ყველა პარტიის მიმართ (IRI, 2023). ამასთანავე, მთავრობა პოლიტიკურ დევნას საზოგადოების ძირითადი პრობლემების უკანა პლანზე გადასაწევად და მოსახლეობაში კიდევ უფრო დიდი განხეთქილებია წარმოსაქმნელად იყენებს. ეს ტაქტიკა, რომელსაც „პოლიტიკური ვენდეტების წარმოების დაუწერელ ქართულ პოლიტიკურ ტრადიციად“ მოიხსენიებენ (კაკაჩია და კაკაბაძე, 2022), აშკარად ხელს უშლის პროგრესს.

ოლიგარქიულ მმართველობას კიდევ უფრო მეტად მთავრობის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ახასიათებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2020 წლის ანგარიშში საქართველო „მიტაცებულ სახელმწიფოდ“ არის დასახელებული, რომლის სახელმწიფო ინსტიტუტები ხშირად „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს ემსახურებიან. ოლიგარქის გავლენა ვრცელდება ყველა სფეროზე - მედიიდან სასამართლო სისტემამდე. ამის უახლესი მაგალითია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ივანიშვილთან დაახლოებული პირის - ოთარ ფარცხალაძის მიმართ აშშ-ის სანქციების აღსრულებაზე უარის თქმა. 2013 წელს ივანიშვილის პოლიტიკიდან ნომინალური წასვლის მიუხედავად, მისი გავლენა ქართულ პოლიტიკაში დღესაც აშკარაა, როგორც ამას ცხადყოფს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2022 წლის ანგარიში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, როცა დეპოლარიზაციაც და დეოლიგარქიზაციაც ძალიან საჭიროა საქართველოსთვის, მთავრობისგან ამის შესრულების მოლოდინი მათ მიერ ძალაუფლების დათმობის ტოლფასია. ამიტომ ევროკავშირმა უნდა შეცვალოს პოლიტიკური პირობების წაყენებისკენ მიმართული თავისი ძალისხმევა და გააძლიეროს ფართო საზოგადოება და სამოქალაქო საზოგადოება, რათა ისინი გახდნენ საქართველოს დემოკრატიული, ევროპული მომავლის მამოძრავებელი ძალა.

ევროკავშირის რეკომენდაციები საზოგადოებას ბუნდოვან პოლიტიკურ გზავნილს უგზავნის

ევროკავშირის რეკომენდაციები ასევე არ იძლევა სამოქალაქო საზოგადოების ეფექტურად გაძლიერების შესაძლებლობას მათი ბუნდოვანების გამო. ეს ბუნდოვანება მთავრობას აძლევს საშუალებას, გამოიყენოს თავისი გავლენა საინფორმაციო არხებზე, გაავრცელოს საკუთარი ნარატივი იმის შესახებ თუ რა მოთხოვნებს აყენებს ევროკავშირი. მაგალითად, შეეცადნენ პოლიტიკური ოპონენტების დევნა „დეოლიგარქიზაციის“

კანონად, ხოლო „დეპოლარიზაციად“ კი კრემლის-კანონის კვალად „უცხოელი აგენტების“ კანონი მიეღოთ. ზემოხსენებულ ქმედებები ართულებს სამოქალაქო საზოგადოების, მოსახლეობისა და ოპოზიციის გაერთიანებას და საკუთარი შეხედულების წარმოჩენას იმის შესახებ, თუ რას მოელის ევროკავშირი საქართველოსგან.

დასკვნა და რეკომენდაციები

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მიერ პოლიტიკური პირობების წაყნება უძლიერესი ინსტრუმენტია წევრი ან პარტნიორი ქვეყნების დემოკრატიზაციისათვის. თუმცა კვლევების თანახმად, წარმატება მხოლოდ სამიზნე სახელმწიფოზე მორგებულ რეკომენდაციებს მოაქვს.

ამასთანავე, როგორც არალიბერალური მთავრობების გამოცდილება გვიჩვენებს, ევროკავშირის რეკომენდაციები ეფექტურად ვერ იმუშავეს თუ ის მმართველი პარტიის ძალაუფლებას საფრთხეს უქმნის; როგორც საქართველოში სადაც პოლარიზაცნია და ოლიგარქიული მმართველობა მმართველი პარტიის მთავარი ინსტრუმენტებია ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ამ შემთხვევაში ევროკავშირს შეუძლია გამოიყენოს პოლიტიკური პირობები საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის გასაძლიერებლად და საზოგადოებას გაუგზავნოს პოლიტიკური სიგნალი, რომ ცვლილება აუცილებელია. სლოვაკეთის მაგალითზე, განსაკუთრებულ შედეგს მოიტანს აქტიური სამოქალაქო საზოგადოება და მოსახლეობა, რომლის უდიდესი ნაწილი ევროკავშირში ინტეგრაციას ემხრობა.

საქართველოს 2024 წლის უმნიშვნელოვანესი საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ევროკავშირს აქვს შესანიშნავი შესაძლებლობა, შეუცვალოს ორიენტაცია თავის რესურსებს და მიმართოს ისინი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისკენ, ასევე გაუგზავნოს მკაფიო გზავნილი ქართულ საზოგადოებას, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია შესაძლებელია მხოლოდ ლიბერალური კოალიციური მთავრობის პირობებში. ამ გზავნილის საზოგადოებისთვის გადაცემის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარების პირობით. ამასთანავე, ევროკავშირს შეუძლია დააფინანსოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების წამახალისებელი ისეთი პროექტები, როგორიცაა კამპანია “OK'98“ სლოვაკეთში, რომლის

მთავარი მიზანი იქნება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება არჩევნების მნიშვნელობაზე საქართველოს დემოკრატიისთვის. რაც უფრო მეტად დაუკავშირებს ქართული საზოგადოება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას, მით უფრო დიდი იქნება არჩევნებში აქტიურობა.

შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ თავისი რესურსები მთავრობის მიერ ევროკავშირის პირობების შესრულების მონიტორინგის ნაცვლად უნდა მიმართოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის ნიადაგის მომზადებისკენ: რაც ითვალისწინებს მოქალაქეების მომზადებას არჩევნებზე დაკვირვებისთვის და სხვა აქტივობების ჩატარებას: კონცერტების, მსვლელობისა და მიტინგების ორგანიზება 2024 წელს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მოსახლეობის წასახალისებლად. ვინაიდან ახალგაზრდები ყველაზე მეტად აძლევენ ხმას პროევროპულ პარტიებს, მაგრამ ნაკლებად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში, აშკარაა, რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა ახალგაზრდებისკენ უნდა იყოს მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ხდებოდა არჩევნებში მონაწილეობის წამახალისებელი კამპანიების ორგანიზება, მათი მასშტაბი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს, თუკი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უკეთეს კოორდინაციას გაუწევენ ამ კამპანიებს საერთაშორისო დაფინანსების დახმარებით. დაბოლოს, საქართველოს პროდასავლური ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს ევროკავშირში ინტეგრაციის იდეის გარშემო და აჩვენოს საზოგადოებას, რომ შეუძლია დღევანდელი ხელისუფლების მკაფიო ალტერნატივის შეთავაზება. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად არათანაბარია პოლიტიკური სივრცე საქართველოში, საქართველოს დემოკრატიისა და მისი ევროატლანტიკური მომავლის უზრუნველსაყოფად მთავარი გზა შეიძლება იყოს ერთიანობა და კოალიციური მმართველობა. თუმცა ამისათვის ოპოზიციამ მკაფიოდ უნდა აჩვენოს საზოგადოებას, რომ მას შეუძლია ქართველ ხალხს შესთავაზოს დემოკრატიული, პროევროპული მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Bermeo, Nancy. 2016. "On Democratic Backsliding." Journal of Democracy 27, no. 1: 5-19. https://doi.org/10.1353/jod.2016.0012

Börzel, Tanja and Yasemin Pamuk. 2012. "Pathologies of Europeanisation: Fighting Corruption in the Southern Caucasus." West European Politics 35, no. 1: 79-97. https://doi.org/10.1080/01402382.2012.631315

Jozwiak, Rikard. 2023. Wider Europe Briefing: In 2023, There's a Good Change Georgia, Moldova, And Ukraine Will Move Closer to the EU. REFE/RL. Available at https://www.rferl.org/a/wider-europe-rikard-jozwiak-ukraine-georgia-moldova-russia-nuclear/32366906.html. Accessed on 09.09.2023.

Kakachia, Kornely and Shota Kakabadze. 2022. "What's Behind Georgian Dream's Anti-Western Rhetoric and Foreign Policy Behavior." GIP. Available at https://gip.ge/publication- post/whats-behind-georgian-dreams-anti-western-rethoric-and-foreign-policy- behavior/ Accessed on 09.09.2023.

NetGazeti. 2023. კობახიძე ირწმუნება, რომ „აგენტებზე" კანონი პოლარიზაციას დაამარცხებს. Available at https://netgazeti.ge/news/657990/. Accessed on 09.09.2023.

Open Society Foundation Georgia. 2023. EU CANDIDACY CHECK 6.0 – How is Georgia progressing towards fulfilling 12 priorities defined by the EU – CSO's final assessments. Available at https://osgf.ge/en/eu-candidacy-check-6-0-how-is-georgia-progressing-towards- fulfilling-12-priorities-defined-by-the-eu-eu-candidacy-check-csos-final-assessments/?fbclid=IwAR0ie7pTLPvRMoaSeAaIXK4U3oEwSS9ZF_uAt0OhZnw nKCw8qgr8S45U1tU. Accessed on 30.09.2023.

Schimmelfennig, Frank, Stefan Engert, and Heiko Knobel. 2003. "Costs, Commitment and Compliance: The Impact of EU Democratic Conditionality on Latvia, Slovakia and Turkey." The Journal of Common Market Studies 41, no. 3: 495-518. https://doi.org/10.1111/1468- 5965.00432

Schimmelfennig, Frank and Ulrich Sedelmeier. 2019. "The Europeanization of Eastern Europe: the external incentives model revisited." Journal of European Public Policy 27, no. 6: 814-833. https://doi.org/10.1080/13501763.2019.1617333

Sajó, András. 2021. Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy. Camridge: Cambridge University Press.

Transparency International Georgia. 2020. Is Georgia a captured state? Available at https://www.transparency.ge/en/blog/georgia-captured-state?fbclid=IwAR28VHWJT1WxsEohKkVpNmdUrFvvIHk- Fj4iGdzojpvc5FnoXck9GKFn-Hk. Accessed on 30.09.2023.

Transparency International Georgia. 2022. Russian Businesses of Bidzina Ivanishvili and His Relatives. Available at https://transparency.ge/en/post/russian-businesses-bidzina-ivanishvili-and- his-relatives. Accessed on 09.09.2023.

Vachudova, Milada A. 2006. Europe Undivided: Democracy, Leverage, and Integration after Communism. Oxford: Oxford University Press.

Venice Commission. 2023. Final Opinion on the Draft Law "On De-Oligarchization." Available at https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL- AD(2023)017-e. Accessed on 09.09.2023.

დანართი:

List of respondents and their affiliations.

Jan Wiersma	Former Member of the European Parliament and Rapporteur for the Accession of Slovakia to the EU.
Sarlota Pufflerova	Spokesperson of the OK'98 campaign in Slovakia

HEINRICH BÖLL STIFTUNG
TBILISI
South Caucasus Region

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

<u>დოკუმენტის ციტირების წესი:</u>

ანასტასია მგალობლიშვილი, „დემოკრატია საფრთხეშია: ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი პირობების გადააზრება“ პოლიტიკის მემორანდუმი #70, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2023.

© Georgian Institute of Politics, 2023
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge